KA015550430056016

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სანაპიროს №2-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ნულოვან სართულზე მდებარე 1 (ერთი) კვ.მ ფართის აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

№432/ს **04** / ივლისი / **2016** წ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების“, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-9 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 15 ივნისის №3968 და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 20 ივნისის №5/30942 წერილების, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 16 სექტემბრის №01.07.1194 დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განხორციელდეს სსიპ-იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.18.03.003.024) ნულოვან სართულზე მდებარე 1 (ერთი) კვ.მეტრი ფართის (გადასაცემი ქონება განისაზღვრება ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად) იჯარით გაცემა ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის ვადით, მასზე 1 (ერთი) ერთეული ბანკომატის განთავსების მიზნით.
2. ქონების სარგებლობაში გადაცემის საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 20 (ოცი) ლარით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით, რომლის მოქმედების ვადაც 7 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ქონების სარგებლობაში გაცემის ვადას.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2016 წლის 4 ივლისს და გაგრძელდეს 7 (შვიდი) დღის ვადით.
5. უძრავი ქონების იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემისთვის დადგინდეს შემდეგი პირობები:
ა) იჯარის საგანი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ. მოიჯარის მიერ არ იქნეს დაშვებული მისი სახეცვლილება; მოიჯარემ მოუაროს მას და მკაცრად დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები, აგრეთვე მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის

წესები; უზრუნველყოფილ იქნეს ბანკომატის დამოუკიდებელი ინტერნეტკავშირი;

ბ) მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებაზე სარემონტო სამუშაოები განხორციელდეს საჭიროებისამებრ; წინასწარ იქნეს მიღებულ ყველა აუცილებელი ზომა საიჯარო ქონების დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მოიჯარის ბრალით ქონების დაზიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას იგი მისი ხარჯებით;

გ) შეთანხმდეს იუსტიციის სახლთან იჯარის საგნის მოწყობის, ფუნქციონირებისა და მისი გაფორმების საკითხები, შემდგომში მასში დაგეგმილი ყველა ცვლილება, ასევე მისი საქმიანობის პროცესთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია მეიჯარის საქმიანობასთან;

დ) იუსტიციის სახლთან შეთანხმების გარეშე არ იქნეს დაშვებული საიჯარო ქონებაზე განთავსებული ბანკომატის კორპუსსა და ეკრანზე რაიმე სახის რეკლამის განთავსება, გარდა მოიჯარის საკუთარი საქმიანობის ამსახველი რეკლამისა;

ე) ბანკომატზე განთავსდეს ცხელი ხაზის ნომერი, რომელზეც შესაძლებელი იქნება დაკავშირება ბანკომატის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში. ბანკომატის ტექნიკური გაუმართაობისას მოიჯარემ მოახდინოს სათანადო რეაგირება დისტანციურად ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მოსვლით;

ვ) საიჯარო ქონებაზე განთავსებულ ბანკომატში თანხის განაღდების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს მოიჯარის ქსელში არსებულ ბანკომატებში დაწესებული საკომისიოს ოდენობას;

ზ) მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე ეცნობოს იუსტიციის სახლს ბანკომატზე დაგეგმილი სამუშაოების შესახებ (რა დროსაც ბანკომატ(ებ)ი იქნება გათიშული);

თ) მეიჯარის ან/და ნებისმიერი პირის მიერ ბანკომატის მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში აღმოფხვრილ იქნეს ხარვეზი. თუ ბანკომატის დაზიანება გამოწვეულია მოიჯარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (მაგალითად ვანდალიზმი, მექანიკური დაზიანება და სხვ.) და დაზიანების ხარისხი იმდენად მძიმეა, რომ შეუძლებელია ხარვეზის აღმოფხვრა ზემოხსენებულ ვადაში, ეცნობოს იუსტიციის სახლს ხარვეზის აღმოფხვრის სავარაუდო ვადა და მითითებულ ვადაში აღმოფხვრილ იქნეს იგი;

ი) ბანკომატის ტექნიკური და საინკასაციო მომსახურება, ასევე დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები განხორციელდეს იუსტიციის სახლთან შეთანხმებულ საათებში;

კ) საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში;

ლ) ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს გადაცემულ საიჯარო ქონებაზე 1 (ერთი) ერთეული ბანკომატის განთავსება;

მ) ხელშეკრულების გაფორმებისთანავე განახორციელოს საიჯარო ქონების სარგებლობის უფლების რეგისტრაცია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს აღნიშნული რეგისტრირებული უფლების გაუქმება;

ნ) მოიჯარეს ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში (გარდა საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისა) დაეკისროს პირგასამტეხლო დარღვევის ყოველ შემთხვევაზე საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

ო) ბანკომატის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი გადახდილ იქნეს იუსტიციის სახლის მიერ.

6. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების პროექტი დანართი №2-ის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში, მოიჯარეს წარმოეშობა ვალდებულება გამოათავისუფლოს საიჯარო ქონება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) არ ანაზღაურდება.

8. დაევალოს იუსტიციის სახლის მომსახურების განვითარებისა და გაყიდვების სამსახურს ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge) განთავსება და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი.

9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გივი აზაურაშვილი